



(150-152) ამ დროისათვის ტიგროსის და ევფრატის ნაპირები ...

153-157 დაზიანებულია

158-160 გამოტოვებულია

(161) მეფემ (ან: მფლობელმა) მოამარაგა ის მთავარი მებაღეებით. (162-168) ობოლი არ გადაეცემოდა მდიდარ ადამიანს; ქვრივი არ გადაეცემოდა შემძლე ადამიანს; 1 შეკელის კაცი არ გადაეცემოდა მინას კაცს.

1-3 გამოტოვებულია ან ფრაგმენტულადაა შემორჩენილი

4. (222-231) თუ კაცის ცოლმა, ქალის გამოწვევით, შეაცდინა სხვა კაცი, ისე რომ ის (კაცი) დაწვება მასთან (ქალთან), მან! (ქმარმა) უნდა მოკლას ეს ქალი, მაგრამ ეს კაცი (ლიტ. "მამრი") უნდა იქნას განთავისუფლებული.

5. (232-239) თუ კაცმა, მბრძანებლური მანერით, ქალწულობა დააკარგვინა სხვა კაცის მონა ქალს, ამ კაცმა უნდა გადაიხადოს ხუთი შეკელი ვერცხლი.

6. (240-244) თუ კაცი გაეყრება თავის პირველ ცოლს, მან (კაცმა) უნდა გადაუხადოს (ქალს) ერთი მინა ვერცხლი.

7. (245-249) თუ ის (კაცი) გაეყრება (ყოფილ) ქვრივს, მან (კაცმა) უნდა გადაუხადოს (მას-ქალს) ერთ-ნახევარი მინა ვერცხლი.

8. (250-255) თუ ის (კაცი) არის თანანაცხოვრები ქვრივთან ერთად ფორმალური საქორწინო თანხმობის გარეშე, მან (კაცმა) არ უნდა გადაიხადოს ფული საერთოდ.

9. (256-269) თუ ...

10. (270-280) თუ კაცმა დაადანაშაულა სხვა კაცი..., და თუ მან (ბრალმდებელმა) წაიყვანა ის წყლით-გაწმენდის სასამართლოზე, მაგრამ წყლით-გაწმენდამ დაამტკიცა მისი უდანაშაულობა, მან ვინც წაიყვანა ის (მბრალმდებელმა) უნდა გადაიხადოს სამი შეკელი ვერცხლი.

11. ( 281-290) თუ კაცმა დაადანაშაულა (სხვა) კაცის ცოლი ქორწინება გარეშე კავშირში/მრუშობაში, მაგრამ წყლით-გაწმენდამ დაამტკიცა მისი (ქალის) უდანაშაულობა, ის ვინც დაადანაშაულა ის (ქალი) უნდა გადაიხადოს ერთი მესამედი მინა ვერცხლი.

12. (291-301) თუ (პერსპექტიული) სიძე შევიდა თავისი (პერსპექტიული) სიმამრის სახლში, მაგრამ მისმა სიმამრმა შემდეგ სხვა კაცს მისცა მისი საცოლე, მან

მოკლეს (სიძემ)

სიმამრს

(სიმაჰრმა) უნდა გადაუხადოს მას (უარყოფილ სიძეს) ორმაგად(?) მისი მიტანილი საჩუქრების ღირებულება.

13. (302-312) მან (კაცმა) უნდა გადაუხადოს მას(კაცს) ორი შეკელი ვერცხლი.

14. (313-323) თუ [..] მონაქალი [..] და გადაკვეთა ქალაქის საზღვარი, (და სხვა) კაცმა დააბრუნა ის, მონის მფლობელმა უნდა გადაუხადოს მას ვინც ვინც დააბრუნა ის (ქალი) ვერცხლის ორი შეკელი.

15. (324-330) თუ <sup>ნაწ.</sup> ~~თა~~კცმა, ...-ით, მოჭრა სხვა სხვა კაცს ფეხი ~~(X)~~ <sup>ნაწ.</sup> ნაწილი-სხეულისა), მან უნდა გადაიხადოს 10 ვერცხლის შეკელი.

16. (331-338) თუ კაცმა დაუმტვრია სხვა კაცს სხეულის ნაწილი კეტით განზრახული თავდასხმის დროს, მან უნდა გადაიხადოს ერთი მინა ვერცხლი.

17. (339-344) თუ კაცმა სხვა კაცს მოაჭრა დანით ცხვირი, მან უნდა გადაიხადოს ორი-მესამედი მინა ვერცხლი.

18. (48-54) თუ მან მოჭრა მისი ..., ...-ით თითოეული, ... მან უნდა გადაიხადოს X შეკელი ვერცხლი.

19. (ძი 55-~~აბ~~ 4) თუ მან ჩაუმტვრია მას კბილი, მან უნდა გადაიხადოს ორი შეკელი ვერცხლი (თითოეული კბილისთვის).

20. ..

(6-33 ხაზები გამოტოვებულია; პარაგრაფების ზუსტი რიცხვი ხარვეზში არ არის განსაზღვრული. მაგრამ არ უნდა იყოს სამზე მეტი, რომელც შეიცავს 21- 21ა/21ბ-ს)

21ბ (?-44) ... მან უნდა მოიტანოს; თუ მას არ ყავს მონა ქალი, მას შეუძლია გადაუხადოს მას, ათი შეკელი ვერცხლი; თუ მას არ ჰყავს მონა, მას ((არ)) შეუძლია გადაიხადოს მას იმით რაც აქვს.